დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2

2025 წლის 28 იანვარი

ქ. დმანისი

,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/01/2018; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.156.016301) შემდეგი სახით:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ."

2. დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და საშტატო ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად."

3. დადგენილების დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

დანართი 1

პოლიტიკური თანამდებობის პირები და მათი თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობათა დასახელება	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	5986
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4526
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	3942
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	3212
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე		2920

6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე		2336

საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობათა დასახელება	რანგი	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	--	1	3796
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვასა და საქმისწარმოების საკითხებში	III	1	2190
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	III	1	2190
4	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი შრომის უსაფრთხოების საკითხებში	III	1	2190
5	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი	III	1	2482

მუხლი **2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**